




ENERGO-PRO Generation

<p>გამოცემის თარიღი: Date of Issue: 05.05.20.</p>	<p>ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 05.05.20.</p>	<p>მოქმედების ვადა: უვადო Valid till: Permanent</p>
<p>დოკუმენტის ტიპი: ინსტრუქცია Type of Document: Instruction</p>	<p>რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.: INS 02-2020</p>	
<p>სათაური: უსაფრთხოების მოთხოვნები სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის დროს</p> <p>Title: Safety requirements during the exploitation and repairing of hydro technical constructions and hydromechanical facilities of JSC “Energo-Pro Georgia Generation”</p>		
<p>დამტკიცებულია: Approved by:</p> <p>ხელმძღვანელის თანამდებობა Position of Manager:</p> <p>სახელი: Name:</p>		<p>ხელმოწერა: Signature:</p>  <p>თარიღი: Date:</p>
<p>გენერალური დირექტორი General Director</p> <p><u>მიხეილ ბოცვაძე</u> <u>Mikheil Botsvadze</u></p>		

1. შესავალი დებულებები:

1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურებში ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაციის და რემონტის დროს პერსონალის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია უსაფრთხოების ტექნიკის წესებთან ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება #340), ენერგომომმარაგებელი საწარმოების ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მომსახურებისას უსაფრთხოების ზოგად წესებთან (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება #342), ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებთან (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #434).

1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

ინსტრუქცია სავალდებულოა ჰიდროელექტროსადგურების ყველა პერსონალისათვის, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ პროცესებში.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება

2.1. კომპანია – სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“

2.2. ბრიგადა – ორი ან მეტი მომუშავესგან (სამუშაოს მწარმოებლის, მეთვალყურის ჩათვლით) შემდგარი ჯგუფი;

2.3. განკარგულება – დავალება სამუშაოთა წარმოებაზე, რომლითაც განსაზღვრულია სამუშაოს შინაარსი, ადგილი, დრო, უსაფრთხოების ღონისძიებები (თუ საჭიროა) და პირები, რომლებსაც ევალებათ მათი შესრულება;

2.4. განწესი-დაშვება (შემდგომში – განწესი) – დავალება სამუშაოს წარმოებაზე, გაფორმებული დადგენილი ფორმით სპეციალურ ბლანკზე, რომელშიც განსაზღვრულია სამუშაოს შინაარსი, ადგილი, დაწყების და დამთავრების დრო, უსაფრთხოდ ჩატარების პირობები და სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობა;

2.5. დათვალიერება – ელექტრომოწყობილობების, შენობა-ნაგებობების, ელექტროდანადგარების ვიზუალური შემოწმება;

2.6. დამცავი დამიწება – ელექტროდანადგარის ნაწილების დამიწება ელექტროუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

2.7. სამუშაოზე პირველადი დაშვება – განწესით ან განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოზე პირველად დაშვება;

2.8. მიზნობრივი ინსტრუქტაჟი – მითითებები ელექტროდანადგარში კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე, რომელშიც მონაწილეობს განწესით ან განკარგულებით განსაზღვრული ყველა პირი, დაწყებული განწესის ან განკარგულების გამცემიდან ბრიგადის წევრებამდე ან შემსრულებლებამდე;

- 2.9. მექანიზმი – ყველა სახის ამწეები და კომპურები, ექსკავატორები, ტრაქტორები, ავტომტვირთელები, ამწესაბურღი მანქანები, გამოსაწევი კიბეები მექანიკური ამძრავით და სხვა საშუალებები, რომელიც გამოიყენება ამ წესებით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელებისთვის;
- 2.10. მომუშავე, რომელსაც აქვს უსაფრთხოების II – V ჯგუფი – პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხი ელექტროუსაფრთხოებაში (წესებში მითითებულია კონკრეტულ სამუშაოებზე დადგენილი უსაფრთხოების მინიმალური ჯგუფი, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული სამუშაო არ შეიძლება შეასრულოს მითითებულზე დაბალი უსაფრთხოების ჯგუფის მქონე მომუშავემ);
- 2.11. სამუშაო ადგილის მომზადება – მუშაობის დაწყებამდე სამუშაო ადგილზე ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება მომუშავეზე სახიფათო საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების გამორიცხვის მიზნით;
- 2.12. ტექნიკური მომსახურება – მოწყობილობის დანიშნულებით გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების დროს მისი მუშაობის უნარიანობის ან გამართული მდგომარეობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი სამუშაოების განხორციელება;
- 2.13. უსაფრთხოების ნიშანი (პლაკატი) – ნიშანი, რომელიც კრძალავს ცალკეულ მოქმედებებს ან ინფორმაციას აწვდის იმ ობიექტების განლაგების შესახებ, რომლის გამოყენება გამორიცხავს ან შეამცირებს საშიში ან მავნე საწარმოო საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებას და რომლის დანიშნულებაც ადამიანის გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე;
- 2.14. პლაკატი აღნიშვნებით – „აუცილებელია“, „საჭიროა“, „უნდა იყოს“, „დაუშვებელია“, „აკრძალულია“ – აღნიშნავენ წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას;
- 2.15. პლაკატი აღნიშვნით – „დასაშვებია“, „შესაძლებელია“ აღნიშნავს, რომ მოცემული მოთხოვნა გამოიყენება გამონაკლისის სახით, როგორც იძულებითი (ადგილობრივი პირობების მიხედვით);
- 2.16. კოლექტიური დამცავი საშუალებები – სტაციონარული და გადასატანი მაეკრანირებელი მოწყობილობები;
- 2.17. ოპერატიული ჟურნალი – ოპერატიული პერსონალის მიერ მორიგეობის პერიოდში შესრულებული სამუშაოების, ენერგოდანადგარების მდგომარეობისა და განხორციელებული ოპერატიული მართვის, მომსახურების (დათვალიერება, ოპერატიული გადართვები, სამუშაო ადგილის მომზადება, სამუშაოზე დაშვება და მეთვალყურეობა, სამუშაოების შესრულება მიმდინარე ექსპლუატაციის შესაბამისად და სხვა) და სხვათა აღრიცხვის ჟურნალი;
- 2.18. ბიეფი - მდინარის ან არხის უბანი, რომელიც არის პლატინის სიახლოვეს;
- 2.19. გაზსაშიში უბანი - სათავსოები, ნაგებობები, ტერიტორიის უბნები, ტევადობები, გვირაბები, ჭები, შახტები და სხვა., სადაც სამუშაო ზონის საპერო სივრცეში შესაძლოა წარმოიქმნას მავნე და ფეთქებად საშიში აირების კონცენტრაცია ან სადაც ჟანგბადის შემცველობა არაა საკმარისი;
- 2.20. შრომის ჰიგიენა - ორგანიზაციული ღონისძიებებისა და ტექნიკური საშუალებების სისტემა, რომელიც გამორიცხავს ან ასუსტებს მომუშავეებზე მავნე საწარმოო ფაქტორების მოქმედებას;
- 2.21. ჰიდრომექანიკური მოწყობილობები - ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში წყლის მოძრაობის მართვის მოწყობილობები;
- 2.22. ჰიდროტექნიკური ნაგებობები - საინჟინრო ნაგებობები წყლის რესურსების გამოყენების მიზნით. იყოფა საერთო: წყალსადაწნეო (პლატინის, დამბის და სხვა.), წყალგამტარი (არხები, ჰიდროტექნიკური გვირაბები, აკვედუკები და სხვა), სარეგულაციო, გადამკეტი და სპეციალური - ჰიდროენერგეტიკული (ჰესის შენობა, სადაწნეო ავზები და სხვა);
- 2.23. დაშვება - ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც ახორციელებს დამშვეები, რომელთა შესრულების შემდეგ ბრიგადას უფლება აქვს დაიწყოს მუშაობა სამუშაო ადგილზე;
- 2.24. პირველადი დაშვება - განწესით სამუშაო ადგილზე პირველადი დაშვება;
- 2.25. განმეორებითი დაშვება - დაშვება სამუშაო ადგილზე, სადაც მოცემული განწესით სამუშაოები უკვე მიმდინარეობდა;
- 2.26. მბრუნავი მექანიზმები - ტუმბოები, ვენტილატორები, მბრუნავი ბადეები და სხვა მექანიზმები ელექტრო ან სხვა ამძრავით;

2.27. მოწყობილობების ოპერატიული მომსახურება – სამუშაოთა კომპლექსი, რომელიც მოიცავს: დანადგარმოწყობილობების გაშვება-გაჩერებას, მუშა რეჟიმის წარმართვას, გადართვებს, მოწყობილობების დათვალიერებას, შეკეთების საწარმოებლად სამუშაო ადგილის მომზადებას, სამუშაოზე დაშვებას და სხვა ტექნიკურ მომსახურებას მოწყობილობის რემონტში გასაყვანად;

2.28. სამუშაო ადგილის მომზადება - სამუშაო ადგილზე, მუშაობის დაწყებამდე, სამუშაოების უსაფრთხოდ განხორციელების ტექნიკური ღონისძიებების გატარება;

2.29. მუდმივი სამუშაო ადგილი - ადგილი, სადაც მომუშავე ძირითადად 2 საათზე მეტ დროს იმყოფება უწყვეტად. ამასთან, თუ სამუშაოები ხორციელდება სამუშაო ზონის სხვადასხვა პუნქტებში, მუდმივ სამუშაო ზონად ითვლება მთლიანი სამუშაო ზონა;

2.30. გაზსაშიში სამუშაოები - მოწყობილობების მომსახურების სამუშაოები, მათ შორის ისეთ ჭურჭლებში, სადაც სამუშაოების მიმდინარეობისას არსებობს ან არაა გამორიცხული სამუშაო ზონაში ფეთქებადსაშიში ან მავნე ორთქლების, აირების და სხვა ნივთიერებების გამოყოფა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აფეთქება, ცეცხლის გაჩენა, გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, აგრეთვე სამუშაოები ჟანგბადის არასაკმარისი შემცველობის დროს (მოცულობის 20%-ზე ნაკლები მნიშვნელობის);

2.31. სამუშაო ზონა - იატაკის დონიდან ან მოედნიდან 2 მ-ზე შეზღუდული სიმაღლის სივრცე;

2.32. სამუშაო ადგილი - ყველა ადგილი, სადაც მომუშავე უნდა იმყოფებოდეს ან სადაც უნდა გამოცხადდეს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ან ირიბად იმყოფება დამსაქმებლის კონტროლის ქვეშ.

3. უსაფრთხოების მოთხოვნები ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის დროს

3.1. სამუშაოების უსაფრთხოდ შესასრულებლად ორგანიზაციული ღონისძიებები. საერთო მოთხოვნები

3.1.1. ჰიდრომექანიკურ მოწყობილობებსა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე სამუშაოები ტარდება განწეს-დაშვებით ან განკარგულებით.

3.1.2. განწესით ჰიდრომექანიკურ მოწყობილობებზე და ჰიდრო ტექნიკურ ნაგებობებზე სამუშაოების საწარმოებლად დასაშვებია უტწ-ს განწეს-დაშვების სისტემის გამოყენება (დანართი 1).

3.1.3. განწესით სრულდება:

- ჰიდროტურბინების, მისი დამხმარე მოწყობილობების (სიჩქარის რეგულიატორები, ზეთსადაწნეო მოწყობილობები და სხვა.) და გენერატორის მექანიკური ნაწილის რემონტი.
- ჰიდროტექნიკური ნაგებობების რემონტი (სამუშაოების ჩამონათვალს ამტკიცებს ჰესის ხელმძღვანელი).
- ტუმბოების რემონტი.
- საკომპრესორო დანადგარების რემონტი.
- სავენტილაციო დანადგარების რემონტი.
- ტვირთამწე კრანების და ამწეების სავალი გზების რემონტი.
- ყველა სამუშაო და დათვალიერებები წყალგამტარ ტრაქტზე(წყალგამშვები, სპირალური კამერები, გამწოვი მილები, ავანკამერები), აგრეთვე არხებზე, შახტებში, გვირაბებში, ჭებში, ავზებში და რეზერვუარებში.
- საცეცხლე სამუშაოები მოწყობილობებზე, მოწყობილობის მოქმედების ზონაში და საწარმოო შენობებში (გარდა საცეცხლე სამუშაოებისთვის სპეციალურად მოწყობილი ადგილებისა).
- მოწყობილობის, ლითონის და ბეტონის კონსტრუქციების დეფექტოსკოპია.
- მაღლივი სამუშაოები.
- ანტიკოროზიული საფარის აღდგენის და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები.

- ხარაჩოების, ბაქანების და მოედნების აწყობა-დაშლის სამუშაოები.
- მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგების ზონაში მიწის სამუშაოები.
- ყველა სახის წყალქვეშა სამუშაო.
- სამუშაოები, რომლებიც სრულდება მცურავი საშუალებების გამოყენებით.
- ჩამკეტების, გისოსების და სადაწნეო აღჭურვილობის გაწმენდა ციხლისგან.
- აფეთქებითი სამუშაოები.
- ზედა ბიეფის და წყალსაცავების გარეცხვა.
- მილსადენის და არმატურის რემონტი (მილსადენიდან არმატურიდან მოუხსნელად).
- სამუშაოები გაზსაშიშ ადგილებზე.

3.1.4. განკარგულებით შესასრულებელი სამუშაოები ასევე შეიძლება შესრულდეს განწესით. განწესით შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალს ამტკიცებს ჰესის ხელმძღვანელი.

3.1.5. სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი ორგანიზაციული ღონისძიებები:

- ა) სამუშაოს უსაფრთხოდ მიმდინარეობისათვის პასუხისმგებელ პირთა დანიშვნა;
- ბ) განწესის ან განკარგულების გაცემა;
- გ) სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების ნებართვის გაცემა;
- დ) სამუშაო ადგილის მომზადება და დაშვება;
- ე) ზედამხედველობა სამუშაოს მიმდინარეობის დროს;
- ვ) სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა;
- ზ) მუშაობის დროს შესვენებებისა და სამუშაოს დამთავრების გაფორმება.

3.1.6. განწესი გაიცემა მოწყობილობის რემონტში ან ჰიდრონაგებობების რემონტში გაყვანაზე გადაცემული განაცხადის შესაბამისი ვადით.

მუშაობის პროცესის დროებით შეჩერების შემთხვევაში განწესი რჩება მოქმედი.

თუ განწესის ვადა ამოიწურა, მაგრამ სამუშაოები არ არის დამთავრებული, განაცხადს და განწესს უგრძელდება ვადა. განწესს მოქმედების ვადა შეიძლება გაუგრძელოს განწესის გამცემმა ან პირმა, რომელსაც აქვს განწესის გაცემის უფლება მოცემულ მოწყობილობაზე, სამუშაოების სრულ დამთავრებამდე.

ვადის გაგრძელების შესახებ ჩანაწერი კეთდება განწესის ორივე ეგზემპლარში, სტრიქონში «განწესის მოქმედების ვადა გაგრძელებულია».

3.1.7. სამუშაო ადგილის მომზადებისას:

- მოწყობილობაზე უნდა ჩატარდეს აუცილებელი გამორთვები;
- უნდა იქნას ჩატარებული მოწყობილობის შეცდომით ჩართვის ან ჩამრაზი მოწყობილობისა და არმატურის თვითნებური გაღების(დაკეტვის) აღმკვეთი ყველა ღონისძიება.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომის უსაფრთხო პირობები.
- გამოიკიდოს უსაფრთხოების ნიშნები(პლაკატები) და გაკეთდეს (აუცილებლობის შემთხვევაში) შემოღობვა.

3.1.8. სამუშაოები განკარგულებით სრულდება ერთი მუშაკის ან ბრიგადის მიერ. განკარგულების გადაცემა ხდება უშუალოდ ან კავშირის საშუალებებით.

განკარგულებას აქვს ერთჯერადი ხასიათი. მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

3.1.9. სამუშაოს დაწყების და დამთავრების შესახებ ჩანაწერები კეთდება ოპერატიულ ჟურნალში სამუშაო ადგილის და სახეობის მითითებით.

3.1.10. განწესითა და განკარგულებით შესრულებული სამუშაოების აღრიცხვას აწარმოებს მორიგე პერსონალი ჟურნალში: „განწესითა და განკარგულებით შესრულებული სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი“. ჟურნალი უნდა იყოს დანომრილი; ზონარგაყრილი და ხელმოწერილი(ბეჭედდარტყმული).

ჟურნალის შენახვის ადგილს ადგენს ჰესის ხელმძღვანელი.
დასრულებული ჟურნალის შენახვის ვადაა ერთი თვე ბოლო ჩანაწერის გაკეთებიდან.

3.2. სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები

3.2.1. სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები არიან:

- ა) განწესის ან განკარგულების გამცემი;
- ბ) სამუშაოს ხელმძღვანელი;
- გ) სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების ნებართვის გამცემი;
- დ) სამუშაო ადგილის მომზადებელი და დამშვები;
- ე) სამუშაოს მწარმოებელი;
- ვ) მეთვალყურე;
- ზ) ბრიგადის წევრები.

3.2.2. განწესის გაცემის უფლება ეძლევა:

- ჰესის მთავარ ინჟინერს ან მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებელს, აფეთქებახანძარსაშიმ მოწყობილობაზე საცეცხლე სამუშაოების წარმოებისას; ჰიდროტურბინების, მისი დამხმარე მოწყობილობების (სიჩქარის რეგულიატორები, ზეთსადაწნეო მოწყობილობები და სხვა.) და გენერატორის მექანიკური ნაწილის რემონტი; ჰიდროტექნიკური ნაგებობების რემონტი (სამუშაოების ჩამონათვალს ამტკიცებს ჰესის ხელმძღვანელი).

ასეთ შემთხვევაში ჰესის მთავარ ინჟინერს ან მისი მოვალეობის შემსრულებელს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების V საკვალიფიკაციო ჯგუფი.

- ჰესის მთავარ სპეციალისტს, ვის უშუალო გამგებლობაშიც არის მოწყობილობა (მთავარი ჰიდროტექნიკოსი, მთავარი ჰიდრომექანიკოსი და სხვა) - საცეცხლე სამუშაოები მოწყობილობებზე, მოწყობილობის მოქმედების ზონაში და საწარმოო შენობებში (გარდა საცეცხლე სამუშაოებისთვის სპეციალურად მოწყობილი ადგილებისა); სამუშაოები გაზსაშიმ ადგილებში.

ასეთ შემთხვევაში ჰესის მთავარ სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ IV საკვალიფიკაციო ჯგუფი.

- ჰესის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი ვისაც მინიჭებული აქვს უფლება იყოს განწესის გამცემი ჰესის ხელმძღვანელის მიერ - ყველა ტიპის სამუშაოებზე, გარდა ჰესის მთავარი ინჟინრის, მისი მოვალეობის შემსრულებლის, მთავარი სპეციალისტებისთვის განსაზღვრული სამუშაოებისა. ასეთ შემთხვევაში ჰესის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ III დაშვების ჯგუფი

3.2.3. განკარგულების გაცემის უფლება ეძლევა პირებს, ვისაც აქვს განწესის გაცემის უფლება.

3.2.4. იმ თანამშრომელთა სია, რომლებსაც აქვთ უფლება იყვნენ განწესის გამცემი, სამუშაოს ხელმძღვანელი და სამუშაოს მწარმოებელი, დამშვები, მორიგე პერსონალის მიერ მოწყობილობის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობების ზონის გარეთ მუშაობის დროს, მტკიცდება ჰესის ხელმძღვანელის მიერ. სიები უნდა ინახებოდეს განწესის გამცემ პირებთან და მართვის ფარის ოპერატორთან.

3.2.5. განწესის, განკარგულების გამცემი განსაზღვრავს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, პასუხს აგებს მათ სისწორესა და საკმარისობაზე, ბრიგადის შემადგენლობის რაოდენობასა და კვალიფიკაციის დონეზე, პასუხისმგებელი პირების დანიშვნაზე, სამუშაოს ხელმძღვანელისთვის მიზნობრივი ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე;

3.2.6. სამუშაოს ხელმძღვანელი პასუხს აგებს განწესში მითითებული უსაფრთხოების ღონისძიებების სრული მოცულობით შესრულებაზე, მის მიერ დამატებით განხორციელებულ უსაფრთხოების ღონისძიებებზე, ბრიგადისათვის მის მიერ, აგრეთვე დამშვებისა და სამუშაოს მწარმოებლის მიერ

ჩატარებული მიზნობრივი ინსტრუქტაჟის სისრულეზე და ხარისხზე, აგრეთვე უსაფრთხო მუშაობის ორგანიზებაზე.

3.2.7. სამუშაოს ხელმძღვანელად ინიშნება პირი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალიდან ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ III დაშვების ჯგუფით.

3.2.8. განწესით დანიშნული სამუშაოს ხელმძღვანელი ვალდებულია:

- დანიშნოს სამუშაოს მწარმოებელი დამტკიცებული სიების შესაბამისად;
- სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების პირობიდან და სამუშაოს მწარმოებლის მხრიდან ბრიგადის წევრებზე უწყვეტი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს ბრიგადის შემადგენლობა.
- გაითვალისწინოს ბრიგადის წევრების კვალიფიკაცია;
- უზრუნველყოს სამუშაოს მწარმოებელი სამუშაოთა წარმოების პროექტით (სწპ), რემონტის ტექნიკური პირობით ან ტექნოლოგიური რუქით;
- სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს მწარმოებელს და ბრიგადის წევრებს ჩაუტაროს მიზნობრივი(მიმდინარე) ინსტრუქტაჟი;
- სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე უზრუნველყოს ბრიგადა ინსტრუმენტებით, სამარჯვებით, სატაკელაჟო საშუალებებით, დაცვის საშუალებებით.
- სამუშაოს მსვლელობის დროს განსაზღვროს დამატებითი უსაფრთხოების ზომები და მიუთითოს განწესის სტრიქონში «განსაკუთრებული პირობები».

სამუშაოს ხელმძღვანელმა, სამუშაოს მწარმოებელთან ერთად დამშვებისგან უნდა მიიღოს სამუშაო ადგილი და შეამოწმონ შესრულებულია თუ არა სრულად განწესში მითითებული უსაფრთხოების ღონისძიებები.

სამუშაოს ხელმძღვანელი და მწარმოებელი არ არიან პასუხისმგებლები ოპერატიული პერსონალის მიერ სამუშაო ადგილის მომზადებისას სრული მოცულობით განუხორციელებელ ღონისძიებებზე:

- მოწყობილობის გამორთვისათვის აუცილებელი ოპერაციების ჩატარებაზე, მუშაობაში შეცდომით შეყვანის აღმკვეთ ღონისძიებებზე, დაცლაზე, გარეცხვაზე და ვენტილაციაზე;
- ნარჩენი წნევის, მავნე, აფეთქება-ხანძარსაშიში და აგრესიული ნივთიერებების არარსებობის შემოწმებაზე;

შემოღობვების დაყენებაზე და უსაფრთხოების ნიშნების (პლაკატების) გამოკიდებაზე.

სამუშაოს ხელმძღვანელი სამუშაოს დაწყებიდან არანაკლებ ორ საათში ერთხელ ვალდებულია პერიოდულად აკონტროლოს ბრიგადის წევრების მიერ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების მოთხოვნების შესრულება.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული სამუშაოები (სამუშაოს ეტაპები) აუცილებელია შესრულდეს სამუშაოს ხელმძღვანელის ზედამხედველობით და მართვით, განწესის გამცემმა უნდა გააკეთოს ჩანაწერი აღნიშნულის თაობაზე განწესის სტრიქონში – „ცალკეული მითითებები“.

სამუშაოს ხელმძღვანელის დანიშვნის აუცილებლობას განსაზღვრავს განწესის გამცემი, რომელსაც უფლება აქვს სამუშაოს ხელმძღვანელი დანიშნოს ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების გარდა სხვა სამუშაოებზეც.

3.2.9. სამუშაოს მწარმოებელი პასუხისმგებელია:

- მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესში მითითებულთან და სამუშაოს შესრულების პირობებიდან გამომდინარე მის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებზე;
- ბრიგადის წევრებთან ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე;
- აუცილებელი დამცავი საშუალებების, ინვენტარის, ინსტრუმენტების და სამარჯვების გამართულობაზე და სწორად გამოყენებაზე;

- სამუშაო ადგილზე შემოღობვების, უსაფრთხოების პლაკატებისა და ნიშნების, დამიწებების, ჩამკეტი მოწყობილობების დაცულობაზე;
- სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე და ბრიგადის წევრებისა და მის მიერ წინამდებარე წესების დაცვაზე;
- ბრიგადის წევრებზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე;
- სამუშაო ადგილის ყოველდღიურ დასუფთავებაზე.

სამუშაოს მწარმოებელი, მუშაობის პროცესში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სამუშაო ადგილას, თუ ეს სამუშაო მოითხოვს მუდმივ მეთვალყურეობას ბრიგადის წევრებზე, ხოლო თვითონ უშუალოდ არ უნდა იღებდეს მონაწილეობას სამუშაოს შესრულებაში. მან ბრიგადის შემადგენლობაში არ უნდა დაუშვას პირი, რომელიც იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ.

3.2.10. სამუშაოს მწარმოებლად, განწესით სამუშაოს შესრულებისას, ინიშნება მუშაკი, რომელსაც აქვს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ III საკვალიფიკაციო ჯგუფი.

დამხმარე მოწყობილობის რემონტისას, აგრეთვე სამუშაოს განკარგულებით შესრულებისას, სამუშაოს მწარმოებლად შეიძლება დაინიშნოს მუშაკი, რომელსაც აქვს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ II საკვალიფიკაციო ჯგუფი. დამხმარე მოწყობილობების ჩამონათვალს განსაზღვრავს ჰესის ხელმძღვანელი, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

3.2.11. მორიგე ან პირი ოპერატიულ-სარემონტო პერსონალიდან, რომელიც ამზადებს სამუშაო ადგილს, პასუხისმგებელია სამუშაო ადგილის მოსამზადებელი ის ღონისძიებები შეასრულოს ზუსტად და სწორად, რომელსაც განუსაზღვრავს ზემდგომი ოპერატიული პერსონალი და მოწყობილობის ექსპლუატაციის ინსტრუქცია.

3.2.12. დამშვები პასუხს აგებს განხორციელებული გამორთვებისა და გატარებული უსაფრთხოების ღონისძიებების სისწორესა და საკმარისობაზე, სამუშაო ადგილთან, სამუშაოს ხასიათთან და განწესში მითითებულ ღონისძიებებთან მათ შესაბამისობაზე, სამუშაოზე სწორად დაშვებაზე, აგრეთვე მის მიერ ბრიგადის წევრებისათვის ინსტრუქტაჟის სრულად და ხარისხიანად ჩატარებაზე.

3.2.13. დამშვები ვალდებულია:

- შეამოწმოს განწესის გამცემის მიერ განწესში მითითებული უსაფრთხოების ზომების შესრულების მოცულობა და სისწორე.
- ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი სამუშაოს ხელმძღვანელს, მწარმოებელს, მეთვალყურეს და დაუშვას ისინი სამუშაოზე.

3.2.14. განწესითა და განკარგულებით ჩასატარებელ სამუშაოებზე პირველად და ყოველდღიურ დაშვებას ახორციელებს მართვის ფარის მორიგე ან მისი ნებართვით დაქვემდებარებული მორიგე პერსონალი, რომელიც უშუალოდ ემსახურება მოცემულ მოწყობილობას ან ნაგებობას. ოპერატიულ-სარემონტო ბრიგადაზე გაცემული განწესის ან განკარგულების შემთხვევაში დაშვებას აკეთებენ ამ ჯგუფის ხელმძღვანელები ან სპეციალისტები.

მორიგე პერსონალის მოქმედების ზონის გარეთ სამუშაოებზე პირველად დაშვებას ახორციელებს ამ მოწყობილობის(ნაგებობის) მომსახურე ოპერატიულ-სარემონტო უბნის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. განწესის გამცემი პირის ნებართვით ყოველდღიური დაშვება შეიძლება განახორციელოს სამუშაოს მწარმოებელმა.

3.2.15. იმ ობიექტზე, რომელზეც არ არის მორიგე პერსონალი, სამუშაოს შესრულებისას (კაშხალის ან დრენაჟის რემონტი, სამუშაოები პატერნაზე, გარე წყალგამტარზე და ა.შ.) სამუშაო ადგილის მომზადებას, სამუშაოზე დაშვებას და პერსონალზე უწყვეტ ზედამხედველობას, ახორციელებენ ამ დანადგარების მომსახურებაზე და დათვალეიერებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები, რომელთა მართვაშიც არის მოწყობილობა ან ნაგებობა. ამ შემთხვევაში დასაშვებია განწესის გამცემმა შეითავსოს

სამუშაო ადგილის მომზადებისა და დამშვების ფუნქციებიც. ობიექტებზე, რომელიც არ შედის მორიგე (ოპერატიულ-სარემონტო) პერსონალის მომსახურების ზონაში, სამუშაოს ყოველდღიურ გაგრძელებაზე დაშვებას ახორციელებს სამუშაოს ხელმძღვანელი, თუ მას ეს უფლება მიენიჭა, ჰესის ხელმძღვანელის (მოვალეობის შემსრულებლის) ნებართვით.

3.2.16. მორიგე და ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის, ხელმძღვანელების და სპეციალისტების სიას, რომლებსაც აქვთ განწესითა და განკარგულებით ჩასატარებელ სამუშაოებზე პირველადი დაშვების უფლება, ამტკიცებს ჰესის ხელმძღვანელი.

3.2.17. ნებადართულია, ერთი პირის მიერ ორი პირის მოვალეობების შეთავსება, თუ ამ პირს. აქვს უფლება შეასრულოს აღნიშნული მოვალეობები. სამუშაოს შესრულებისას ცხრილი 1-ში მითითებულია პასუხისმგებელ პირთა მოვალეობების ერთ-ერთი კომბინაცია.

3.2.18. მეთვალყურე ინიშნება სამშენებლო პერსონალის, არაელექტრული ბრიგადების, სატაკელაჟო ბრიგადების და სხვა პირთა მიერ სამუშაოების განწესით შესრულებისას მოქმედი დანადგარების სიახლოვეს, როგორც კონტრაქტორი ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი ოპერატიულ-სარემონტო (სარემონტო) პერსონალისგან შემდგარი ბრიგადებისთვის.

3.2.19. მეთვალყურე ინიშნება ისეთი ბრიგადების ზედამხედველობისათვის, რომლებსაც არა აქვთ ელექტროდანადგარებში დამოუკიდებლად მუშაობის უფლება.

მეთვალყურე პასახისმგებელია:

- მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესში მითითებულთან;
- სამუშაო ადგილზე დაყენებული დამიწებების, შემოღობვების, პლაკატების და უსაფრთხოების ნიშნების, ამძრავების ჩამკეტი მოწყობილობების არსებობასა და დაცულობაზე;
- ბრიგადის წევრების ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე;
- ბრიგადის წევრების უსაფრთხოებაზე ელექტროდანადგარების ელექტრული დენით გამოწვეული დაზიანებისაგან;
- მეთვალყურედ შეიძლება დაინიშნოს უსაფრთხოების III ჯგუფის მქონე მომუშავე.

მეთვალყურის დანიშვნის აუცილებლობას განსაზღვრავს განწესის გამცემი პირი.

მეთვალყურედ ინიშნებიან პირები, რომლებსაც აქვთ უფლება იყვნენ სამუშაოს მწარმოებლები ან მორიგე პერსონალი, რომლებიც ემსახურებიან ამ დანადგარებს.

3.2.20. დამშვებისგან სამუშაო ადგილის მიღებისას, მეთვალყურე ამოწმებს განწესში მითითებული უსაფრთხოების ზომების სრულად შესრულებას.

მეთვალყურე ვალდებულია უზრუნველყოს ბრიგადის წევრების უსაფრთხოება საშიში საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების დროს (უზრუნველყოს, რომ ბრიგადის წევრები არ მიუახლოვდნენ მუშა მოწყობილობებსა და კომუნიკაციებს საშიშ დისტანციაზე, არ გააფართოვონ სამუშაოს მოცულობა და გამოიყენონ უსაფრთხო გასასვლელები. დაიცვას ჩამკეტი მოწყობილობების, შემოღობვების და გამაფრთხილებელი უსაფრთხოების ნიშნების სიმრთელი).

უფლებამოსილების შეთავსება

პასუხისმგებელი პირი	უფლებამოსილების შეთავსება
- განწესის გამცემი - სამუშაოს ხელმძღვანელი თუ მასზე გაცემულია ერთი განწესი. - სამუშაოს ხელმძღვანელი - სამუშაოს მწარმოებელი	- სამუშაოს ხელმძღვანელი - სამუშაოს მწარმოებელი. - დამშვები ყოველდღიურად სამუშაოს გაგრძელებაზე იმ ობიექტებზე, რომლებიც არ შედიან მორიგე (ოპერატიულ-სარემონტო) პერსონალის მომსახურების ზონაში. - დამშვები ყოველდღიურად სამუშაოს გაგრძელებაზე იმ ობიექტებზე, რომლებიც არ შედიან მორიგე(ოპერატიულ-სარემონტო) პერსონალის მომსახურების ზონაში.

მეთვალყურეს არ აქვს უფლება ზედამხედველობის ფუნქციას შეუთავსოს რაიმე სხვა სამუშაო, ან დატოვოს სამუშაო ადგილი ბრიგადის უსაფრთხო ზონაში გადაყვანის გარეშე.

3.2.21. ბრიგადის წევრებად შეიძლება დაინიშნონ ელექტრომომარაგების ან კონტრაქტორი ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი, ცოდნის ტესტირება, და აქვთ დამოუკიდებლად მუშაობის უფლება. ბრიგადის წევრებს ჰიდროტენიკური დანადგარებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების შეკეთების დროს უნდა ჰქონდეთ ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ II დაშვების ჯგუფი.

ბრიგადის წევრები ვალდებული არიან:

- დაიცვან შრომის დაცვის და უსაფრთხოების ის ინსტრუქციები, რომლებიც მიიღეს ტრენინგის დროს, სამსახურში მიღებამდე და სამუშაოს შესრულებამდე;
- დანიშნულებისამებრ და სწორად გამოიყენოს არსებული დამცავი საშუალებები, დამცავი ტანსაცმელი; ყურადღება მიაქციოს გამოყენებული ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამართულობას;
- დაიცვან სამუშაო ადგილზე გამოკრული უსაფრთხოების ნიშნების, შემოღობვის და საკეტი მოწყობილობების ურღვევობა;
- სამუშაო ადგილზე შეინარჩუნონ სისუფთავე და წესრიგი.

3.3. განწესის გაფორმების და გაცემის წესი

3.3.1. განწესი ფორმდება ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარში ჩანაწერები უნდა იყოს გარკვევით და ზუსტად. დაუშვებელია წერილობითი ტექსტის შესწორება ან ჩასწორება. განწესის ფანქრით შევსება დაუშვებელია.

3.3.2. დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, მორიგე პერსონალს წინა დღეს გადასცემენ ორივე ეგზემპლარს სამუშაო ადგილის მოსამზადებლად.

3.3.3. გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, დასაშვებია განწესის გაცემა სამუშაოს შესრულების დღეს.

3.3.4. შევსებულ განწესში, ცხრილების სტრიქონები და სვეტები, რომლებიც არ უნდა შეივსოს, ჩაიწერება: „არ ინიშნება“, „არ არის გათვალისწინებული“, „არ არის საჭირო“.

3.3.5. თუ განწესის ცხრილების მწკრივებში ან სვეტებში არ არის საკმარისი ადგილი, მას უნდა დაერთოს ცალკეული ფურცლები, რომლებიც განწესის განუყოფელი ნაწილია. დამატებულ

ფურცელზე ხელს აწერს განწესის გამცემი ან სამუშაოს ხელმძღვანელი, რომელიც ავსებს ამ ხაზებს და სვეტებს.

3.3.6. სტრიქონებსა და გრაფებში კეთდება შენიშვნა მასში დამატებული ფურცლების არსებობის შესახებ.

3.3.7. განწესი გაიცემა ერთ სამუშაოს მწარმოებელზე (ხელმძღვანელზე) ერთი ბრიგადით ერთ სამუშაო ადგილზე, ან ჰიდრომექანიკური (ჰიდრავლიკური სტრუქტურები) მოწყობილობის მიერთების ერთნაირი სქემის მქონე რამდენიმე სამუშაო ადგილზე.

3.3.8. სამუშაოს მწარმოებელს (დამკვირვებელს) ეძლევა განწესის ერთი ეგზემპლარი.

3.3.9. რამდენიმე სამუშაო ადგილზე ერთი განწესით მუშაობისას:

- ყველა სამუშაო ადგილს ერთდროულად ამზადებს მორიგე (ოპერაციულ-სარემონტო) პერსონალი და აბარებს სამუშაოს ხელმძღვანელს და მწარმოებელს (მეთვალყურეს);

- სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) ბრიგადასთან ერთად დაიშვება ერთ მომზადებულ სამუშაო ადგილზე;

- ბრიგადის სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა ხორციელდება დამშვების ან მისი ნებართვით, სამუშაოს ხელმძღვანელის მიერ;

- ბრიგადის გადაყვანა ფორმდება განწესის ცხრილში, დამშვების და სამუშაოს მწარმოებლის ხელმოწერით (ან სვეტში „დამშვები“ სამუშაოს ხელმძღვანელი), თარიღის, დროის და სამუშაო ადგილის მითითებით;

- ბრიგადის გადაყვანა ფორმდება სამუშაოს ხელმძღვანელის მიერ სამუშაოს მწარმოებლთან არსებულ განწესის ეგზემპლარში. ბრიგადის გადაყვანის შესახებ, სამუშაო ხელმძღვანელი აცნობებს მორიგე (ოპერაციულ-სარემონტო) პერსონალს, რომელიც ჩანაწერს აკეთებს განწესის მეორე ეგზემპლარში და ოპერატიულ ჟურნალში.

3.3.10. დაუშვებელია სამუშაო ადგილის გაფართოება, სამუშაო ადგილების რაოდენობის და სამუშაო პირობების შეცვლა, აგრეთვე სამუშაოს ხელმძღვანელის ან მწარმოებლის შეცვლა, ახალი განწესის გაცემის გარეშე.

3.3.11. სამუშაოს ერთი ხელმძღვანელისთვის ერთდროულად გაცემული განწესების რაოდენობას, თითოეულ შემთხვევაში, განსაზღვრავს განწესის გამცემი პირი.

3.3.12. მეთვალყურის დანიშვნის შემთხვევაში, განწესის სტრიქონში "სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს)" ხაზის ქვეშ ჩანაწერში მიეთითება: გვარი, სახელი, თანამდებობა, თანრიგი, სამუშაოს მწარმოებლის ელექტრული უსაფრთხოების ჯგუფი, ხოლო მეთვალყურის ელექტრული უსაფრთხოების ჯგუფი იწერება ფრჩხილებში. მეთვალყურე ხელს აწერს სტრიქონში „სამუშაოს მწარმოებელი“, სამუშაოს მწარმოებლის ხელმოწერის შემდეგ.

3.3.13. განწესის სტრიქონში - „უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად აუცილებელია“ განწესის გამცემმა უნდა ჩაწეროს ყველა ტექნიკური ღონისძიება სამუშაო ადგილების მოსამზადებლად, მორიგის ან ოპერაციულ-სარემონტო პერსონალის მიერ, ვის გამგებლობაშიც არის მოწყობილობა, აგრეთვე უსაფრთხოების ზომები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სხვა მორიგე პერსონალის მიერ მართულ მოწყობილობებზე (მითითებული უნდა იყოს: კონკრეტულად რომელი დანადგარი უნდა გამოირთოს და დამიწდეს, აგრეთვე აღჭურვილობის მდგომარეობა ოპერატიული სქემის მიხედვით, კერძოდ რა უნდა იყოს გამორთული ან ჩართული, ხოლო მათი ამძრავები ბოქლომით ჩაკეტილი და სხვა).

3.3.14. საცეცხლე სამუშაოების წარმოებისას, განწესის სტრიქონში „უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად აუცილებელია“, განწესის გამცემმა უნდა ჩაწეროს ის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებიც, რომელიც საჭიროა საცეცხლე სამუშაოების უსაფრთხოდ ჩასატარებლად.

3.3.15. კონტროლი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების სწორად შესრულებაზე უნდა განახორციელოს ობიექტის ხანძარუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა.

3.3.16. სამუშაოს ხელმძღვანელი სამუშაო პროცესის განმავლობაში, დამატებით უსაფრთხოების ზომებს სამუშაო პროცესში მიუთითებს და ხელს აწერს სტრიქონში „ცალკეული მითითებები“:

- საჭიროების შემთხვევაში ტექნოლოგიური რუქების და ტექნიკური პირობების გამოყენების შესახებ;
- ღია ცეცხლის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ;
- მთელი სამუშაოს ან გარკვეული ოპერაციების სამუშაოს ხელმძღვანელის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ შესრულების შესახებ;
- დამატებითი შემოღობვების დაყენების და ხარაჩოებზე ასასვლელი კიბეების გამოყენების შესახებ;
- ბრიგადის მიერ კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების აუცილებლობის შესახებ;
- ტვირთამწე და სხვა მექანიზმების გამოყენების წესის შესახებ;
- განწესში შეთავსებული პასუხისმგებლობის დროს არსებული თავისებურებების შესახებ (დამცავი მოწყობილობების დაყენება, სამუშაოების შესრულების რიგითობა, ბრიგადის დროებით გაყვანა უსაფრთხო ადგილას.);
- სამუშაოს შესრულების პროცესში ჰაერის ანალიზის პერიოდულობის შესახებ;
- და ა.შ.;

3.3.17. განწესით სამუშაოს შესრულებისას, ბრიგადა შედგება არანაკლებ ორი ადამიანისგან, სამუშაოს მწარმოებლის ჩათვლით. სამუშაოს მწარმოებელი სტრიქონში ”ბრიგადის წევრები“-ში არ მიეთითება. ნებადართულია ბრიგადაში ჩართონ სტაჟიორები, ასევე ახლად დაქირავებული მუშები, რომლებიც გაივლიან პრაქტიკულ ტრენინგს შრომის დაცვის ინსტრუქციის ცოდნის შემოწმების გარეშე, ბრიგადის თითოეული წევრზე, რომელსაც აქვს არანაკლებ ელექტროუსაფრთხოების II დაშვების ჯგუფი (სამუშაოს მწარმოებლის გარდა) ერთი სტაჟიორის ოდენობით, მაგრამ ბრიგადაში არაუმეტეს სამი ადამიანისა. სტაჟიორი პერსონალურად(ბრძანებით; განკარგულებით) უნდა იყოს მიმაგრებული ბრიგადის კვალიფიციურ წევრზე. სტაჟიორების და ახლად დაქირავებული მუშაკების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამუშაოს მწარმოებელს, ასევე ბრიგადის წევრებს, ვისზეც ისინი არიან მიმაგრებული. სამუშაოს შესრულებისას, რომელზეც გაზრდილი უსაფრთხოების მოთხოვნები, პირები, რომლებსაც არ აქვთ ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდა, არ უნდა შევიდნენ ბრიგადაში.

3.3.18. ყოველთვიური კონტროლი განწესების და განკარგულებების სწორად გაფორმებაზე უნდა აწარმოოს შრომის დაცვის სპეციალისტმა და სხვა უფლებამოსილმა პირებმა.

3.3.19. დარღვევების შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა მიეწოდოს ობიექტის ხელმძღვანელს.

3.4. ბრიგადის დაშვება სამუშაო ადგილზე

3.4.1. დამშვები, ბრიგადის სამუშაოდ დაშვებამდე, ადგილის დათვალიერებით და ოპერატიული ჩანაწერებით უნდა დარწმუნდეს, რომ სამუშაო ადგილის მოსამზადებლად განწესით განსაზღვრული ყველა ტექნიკური ღონისძიება განხორციელებულია.

თუ დამშვები თვლის, რომ სამუშაო ადგილის მომზადების მიზნით განწესში მითითებული ზომები არასაკმარისია ან ისინი არ შეესაბამება განწესში მითითებულ ზომებს, უნდა აცნობოს განწესის გამცემ პირს. დაუშვებელია იმ განწესით სამუშაო ადგილზე დაშვება, რომელშიც არასრულად ან არასწორადაა განსაზღვრული უსაფრთხოების ზომები, ხოლო განწესი უბრუნდება განწესის გამცემს.

3.4.2. განწესის შესაბამის სტრიქონში დამშვების მიერ ხელმოწერა კეთდება მას შემდეგ, როცა შესრულდება სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების ყველა პირობა(სხვა საამქროების დანადგარების ჩათვლით).

3.4.3. პირი, რომელიც ხელს აწერს განწესში ან ადასტურებს სამუშაოს უსაფრთხოდ შესასრულებლად ჩატარებული აუცილებელი ღონისძიებების და გამორთვების განხორციელების შესახებ, პასუხისმგებელია მათი შესრულების სისრულესა და სისწორეზე.

3.4.4. განწესით სამუშაოს წარმოებისთვის პირველადი დაშვება, განაცხადით რემონტისთვის გამორთულ დანადგარზე, ხდება ტექნიკური ხელმძღვანელის (მოვალეობის შემსრულებლის) ნებართვით, რაც უნდა აღინიშნოს განწესის შესაბამის სტრიქონში, სანამ ბრიგადას დაუშვებენ სამუშაოდ.

3.4.5. სამუშაოზე პირველადი დაშვების დროს, სამუშაოს ხელმძღვანელი და სამუშაოების მწარმოებელი (დამკვირვებელი) დამშვებთან ერთად ამოწმებენ განწესის სტრიქონებში მითითებული სამუშაოების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების სრულად შესრულებას.

განმეორებითი (ყოველდღიური) დაშვების შემთხვევაში, სამუშაოების მომზადების ღონისძიებების განხორციელების შემოწმებასთან ერთად ხდება ბრიგადის განმეორებითი დაშვება. აღნიშნულ პროცედურებს ახორციელებს დამშვები სამუშაოს სამუშაოს მწარმოებელთან (დამკვირვებელთან) ერთად.

3.4.6. პირველადი და ყოველდღიური დაშვება ფორმდება ოპერატიულ ჟურნალში ჩაწერით, განწესის ნომრის და სამუშაო ადგილის მითითებით.

დამშვები ინსტრუქტაჟის დროს ბრიგადის წევრებს აცნობს სამუშაო ადგილს, ინფორმაციას აწვდის გატარებული უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ, მიუთითებს მეზობელ უბნებზე სადაც არის ძაბვის ან წნევის ქვეშ მომუშავე დანადგარები ან ფეთქებადსაშიში და ხანძარსაშიში გარემო და ა.შ.

დამშვები ამოწმებს სამუშაოს ხელმძღვანელის, სამუშაოს მწარმოებლის და დამკვირვებლის საკვალიფიკაციო მოწმობებს. საკვალიფიკაციო მოწმობის არქონის ან ვადის გასვლის შემთხვევაში მათი დაშვება სამუშაოდ აკრძალულია.

3.4.7. სამუშაო ადგილების მომზადების შემოწმება და განწესით სამუშაოდ დაშვება ფორმდება შესაბამისი სტრიქონებში დამშვების, სამუშაოს ხელმძღვანელის და მწარმოებლის ხელმოწერებით. ნებართვა ფორმდება მხოლოდ ბრიგადის სამუშაო ადგილზე, რის შემდეგაც დამშვები, სამუშაოს ხელმძღვანელის და მწარმოებლის თანდასწრებით, უფლებამოსილია ჩამოკიდოს პლაკატი ან უსაფრთხოების ნიშანი "იმუშავეთ აქ!". დაუშვებელია ამ პლაკატის (ნიშანი) დაკიდება ნებისმიერი სხვა პირის მიერ, აგრეთვე სამუშაოს ხელმძღვანელის და მწარმოებლის არყოფნის შემთხვევაში.

3.4.8. სამუშაოს ხელმძღვანელი ამოწმებს ბრიგადის წევრების საკვალიფიკაციო მოწმობების ვადას, ატარებს ინსტრუქტაჟს და ბრიგადას დაუშვებს სამუშაოდ.

3.4.9. სამუშაოს მწარმოებელი უშუალოდ სამუშაო ადგილზე ატარებს ინსტრუქტაჟს სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარების ღონისძიებების, მათ შორის მათი ტექნოლოგიის, ხელსაწყოების, მოწყობილობებისა და მექანიზმების სწორად გამოყენების შესახებ. ამის შემდეგ ბრიგადას დაუშვებს სამუშაოდ.

3.4.10. პირველადი დაშვება ფორმდება სამუშაოზე ყოველდღიური დაშვების ცხრილში. განწესის ერთი პირი გადაეცემა სამუშაოს მწარმოებელს, მეორე რჩება დამშვებთან და ინახება მოქმედი განწესების საქაღალდეში.

3.4.11. თუ მორიგე (ოპერატიულ-სარემონტო) პერსონალს ან სამუშაოს მწარმოებელს განწესის მიღების შემდეგ, გაუჩნდებათ ეჭვი მიღებულ უსაფრთხოების ზომების სისწორესა და საკმარისობაში, ვალდებული არიან არ დაიწყონ მუშაობა და მოითხოვონ განმარტებები სამუშაოს ხელმძღვანელის ან განწესის გამცემისგან.

3.4.12. სამუშაოზე პირველადი დაშვების თარიღი უნდა ემთხვეოდეს განწესში მითითებულ სამუშაოს დაწყების თარიღს.

3.4.13. სამუშაო ადგილის მომზადებას, აუცილებელი უსაფრთხოების ზომების განხორციელებას და სამუშაოზე დაშვებას სხვა საამქროების(ერთეულების) კუთვნილ იმ მოწყობილობების რემონტისთვის, რომელიც დაკავშირებულია ჰიდრომექანიკური მოწყობილობებით (ელექტროძრავები, ასამბლეები, შედუღების აპარატები, განათების მოწყობილობები, ავტომატიზაცია და გაზომვის მოწყობილობები და ა.შ.), გარდა დახურული გამანაწილებელი მოწყობილობისა, ახორციელებს მორიგე ელექტროტექნიკური პერსონალი, ვის გამგებლობაშიცაა ეს მოწყობილობა, უფროსი მორიგე პერსონალის ყოველდღიური ნებართვით (ოპერატიულ-ტექნიკური) ვის გამგებლობაშიც არის ჰიდრომექანიკური მოწყობილობილობა (ან ჰიდროტექნიკური მოწყობილობა). აღნიშნულის შესახებ ჩანაწერი კეთდება ოპერატიულ ჟურნალში.

3.5. ზედამხედველობა მუშაობის დროს. ცვლილება ბრიგადის შემადგენლობაში

3.5.1. ბრიგადის სამუშაოზე დაშვების მიღებისთანავე, მუდმივი ზედამხედველობა, სამუშაოს შესრულებისას შრომის დაცვის ინსტრუქციის შრომის მოთხოვნების შესრულებაზე ევალება სამუშაოს მწარმოებელს (დამკვირვებელს). სამუშაოს მწარმოებელმა(დამკვირვებელმა) თავისი სამუშაო ისე უნდა წარმართოს, რომ მუდმივად აკონტროლოს ბრიგადის ყველა წევრის უსაფრთხოება. თუ მუშაობის პროცესში სამუშაოს მწარმოებელს ექვი ეპარება უსაფრთხოების ზომების საკმარისობაში, ბრიგადა დაუყოვნებლივ უნდა გამოიყვანოს სამუშაო ადგილიდან.

3.5.2. სამუშაო ადგილის მოკლე დროით დატოვების შემთხვევაში, სამუშაო მწარმოებელმა (დამკვირვებელმა), თუ ხელმძღვანელი ამ დროს ვერ შეცვლის მას, უნდა შეაჩეროს სამუშაო და ბრიგადა გაიყვანოს სამუშაო ადგილიდან.

ბრიგადის წევრების სამუშაო ადგილიდან ხანმოკლე გასვლა დასაშვებია მხოლოდ სამუშაოს მწარმოებლის (დამკვირვებლის) ნებართვით, რომელიც არ აქვს უფლება დატოვოს სამუშაო ადგილი ბრიგადის წევრის(ების) დაბრუნებამდე ან მათი ადგილმდებარეობის დადგენამდე.

3.5.3. მორიგე პერსონალი და სამუშაოს ხელმძღვანელი (განწესისი გამცემი) მოვალენი არიან პერიოდულად შეამოწმონ, რომ ბრიგადის წევრების მიერ დაცულია უსაფრთხოების მოთხოვნები.

სამუშაო ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული შემოწმების სიხშირე არ უნდა აღემატებოდეს 2საათიან შუალედს სამუშაოს დაწყებიდან. თუ მაკონტროლებელი პირები დააფიქსირებენ უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევას, სამუშაოს მწარმოებელს ჩამოერთმევა განწესი, ხოლო ბრიგადა გადის სამუშაოს ადგილიდან. სამუშაოზე ხელახლა დაშვება შესაძლებელია განწესის გამცემი პირის ნებართვით, თუ სამუშაო ადგილის მოსამზადებელი ყველა ღონისძიება აკმაყოფილებს უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს და ბრიგადის წევრებს ჩაუტარდებათ რიგგარეშე ინსტრუქტაჟი, ინსტრუქტაჟების რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებით.ავადმყოფობის შემთხვევაში, მუშაკი უნდა გაიგზავნოს პირველადი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში.

თუ თანამშრომელი აღმოჩნდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ინტოქსიკაციის მდგომარეობაში, იგი სამუშაოს მწარმოებლის მიერ უნდა მოიხსნას სამუშაოდან და გაყვანილი იქნას სამუშაო ადგილიდან (ორგანიზაციის ტერიტორიიდან). მიღებული ღონისძიებების შესახებ აუცილებელია ეცნობოს სამუშაოს ხელმძღვანელს და განწესის გამცემს.

3.5.4. ბრიგადის შემადგენლობაში ცვლილება ფორმდება ცხრილში "ბრიგადის შემადგენლობაში ცვლილებები" განწესის ორივე ეგზემპლიარში, მოცემული განწესში სამუშაოს ხელმძღვანელის მიერ.

3.5.5. ბრიგადაში ახალი წევრის სამუშაოზე დაშვება ხდება მხოლოდ სამუშაოს ხელმძღვანელის და სამუშაოს მწარმოებლის მიერ ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდეგ.

3.6. შესვენებების გაფორმება. შესვენება სამუშაო დღის განმავლობაში

3.6.1. სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დროს (ლანჩისთვის, სამუშაო პირობების შესაბამისად), ბრიგადა იხსნება სამუშაო ადგილიდან და განწესი რჩება სამუშაოს მწარმოებელთან. ბრიგადის არცერთ წევრს არა აქვს უფლება შესვენების დასრულების შემდეგ თვითნებურად დაიწყოს მუშაობა. შესვენების შემდეგ ბრიგადის დაშვებას ახორციელებს სამუშაოს მწარმოებელი (დამკვირვებელი) განწესში გაფორმების გარეშე.

3.6.2. არც ბრიგადის შესვენების დროს, არც სამუშაო დღის განმავლობაში, მორიგე პერსონალს უფლება არ აქვს შეცვალოს მომზადებული სქემა.

ავარიულ სიტუაციაში ზემდგომი პერსონალის ნებართვით შეიძლება შეიცვალოს მომზადებული სქემა ან მუშაობაში იქნას შეყვანილი სარემონტო სამუშაოების გამო გაჩერებული მოწყობილობა-დანადგარები, იმ პირობით, რომ ცვლილებების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება სამუშაოს ხელმძღვანელს და სამუშაოს მწარმოებელს. სამუშაოს მწარმოებლის მოსვლამდე და განწესის ჩაბარებამდე ადგილზე უნდა იყვნენ პირები რომლებიც ბრიგადის არცერთ წევრს არ დაუშვებენ სამუშაოდ.

3.6.3. მოწყობილობის რემონტის დამთავრებამდე საცდელი გაშვებისას ბრიგადა გაყვანილი უნდა იქნას სამუშაო ადგილიდან, მოიხსნას დროებითი შემოღობვები და პლაკატები ჩამკვეთ მოწყობილობებზე. სამუშაოს ხელმძღვანელი განწესს უბრუნებს მორიგეს, რომელიც პასუხისმგებელია ჰიდრომექანიკური მოწყობილობებისა და ჰიდრომექანიკურ დანადგარებზე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში დამშვებს. განწესში ყოველდღიური დაშვების ცხრილში ფორმდება მიმდინარე დღის სამუშაოს დამთავრება.

საცდელი გაშვების შემდეგ, ბრიგადის სამუშაო ადგილის მომზადება და დაშვება ხდება ხელახლა, განწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ყოველდღიური დაშვების ცხრილში გაფორმებით. ამ შემთხვევაში, სამუშაოს ხელმძღვანელი ხელს აწერს განწესის იმავე სვეტში, სადაც სამუშაოს მწარმოებელი, ხოლო დამშვები ხელს აწერს ზემდგომი ოპერატიული პერსონალის იფორმირების შემდეგ ელექტრულ და მექანიკურ ნაწილში განწესით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შესახებ.

3.6.4. ელექტროამპრავიანი მბრუნავი მექანიზმების ბალანსირება და სხვა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ელექტრული აღჭურვილობის ხშირ ჩართვა-გამორთვასთან, ნებადართულია განწესში შესვენების გაფორმების გარეშე, მაგრამ ელექტროგადამცემი მოწყობილობების გამორთვისათვის აუცილებელი ზომების ზუსტად შესრულებით ყოველ ჯერზე. იმ პერიოდისთვის, როდესაც ელექტრო მოწყობილობები ჩართულია, განწესი უნდა იყოს მორიგე ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალთან.

მუშაობა უნდა განხორციელდეს სამუშაოს ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობით.

3.7. სამუშაოს დამთავრება სამუშაო დღის ბოლოს და მუშაობის დაწყება მეორე დღეს

3.7.1. სამუშაო დღის ბოლოს, სამუშაო ადგილი უნდა მოწესრიგდეს, ხელუხლებელი რჩება უსაფრთხოების ნიშნები (პლაკატები), ლობები და საკეტებით. განწესი გადაეცემა მორიგე (ოპერატიულ-სარემონტო) პერსონალს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - დამშვებს.

განკარგულებით წარმოებული სამუშაოს დასრულების შემდეგ, სამუშაოს მწარმოებელი სამუშაო ადგილს აბარებს დამშვებს, რის შემდეგაც დამშვები აფორმებს სამუშაოს დამთავრებას ჟურნალებში (ოპ. ჟურნალი და განწესითა და განკარგულებით შესასრულებელი სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი) სამუშაოს დამთავრების დროის და თარიღის მითითებით.

3.7.2. სამუშაოზე ყოველდღიური დაშვება ფორმდება განწესის ორივე ეგზემპლარის შესაბამის ცხრილში, დამშვების და სამუშაოს მწარმოებლის (დამკვირვებლის) ხელმოწერით, ხოლო სამუშაოს დასრულებას ხელს აწერს სამუშაოს მწარმოებელი (დამკვირვებელი).

3.7.3. მეორე დღეს, შეჩერებული სამუშაოების დაწყება შესაძლებელია სამუშაო ადგილის დათვალიერების, ბრიგადის ინსტრუქტაჟის და განმეორებით დაშვებაში მონაწილე პირების მიერ უსაფრთხოების ზომების განხორციელების გადამოწმების შემდეგ, ამ წესების 5.6 პუნქტის შესაბამისად.

3.8. სამუშაოს დასრულება. განწესის დახურვა

3.8.1. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ბრიგადას წესრიგში მოჰყავს სამუშაო ადგილი, ხსნის მის მიერ დაყენებულ დროებით ღობეებს, პლაკატებს და უსაფრთხოების ნიშნებს, და აღადგენს სტაციონარულ ღობეებს, რომლებიც დემონტაჟის დროს მოიხსნა ან დაზიანდა.

3.8.2. ამის შემდეგ სამუშაოს მწარმოებელს გამოჰყავს ბრიგადა სამუშაო ადგილიდან, ხელს აწერს განწესის ცხრილში "სამუშაოს დასრულება" და განწესის სტრიქონში "სამუშაო დასრულებულია", სამუშაოს დამთავრების თარიღის და დროის მითითებით და აზარებს განწესს სამუშაოს ხელმძღვანელს. დამკვირვებლის დანიშვნისას, ეს უკანასკნელი სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელს აწერს განწესის სტრიქონში სამუშაოს მწარმოებლის ხელმოწერის შემდეგ.

3.8.3. სამუშაოს ხელმძღვანელი, სამუშაოს მწარმოებლისგან სამუშაო ადგილის მიღებისას, ამოწმებს ყველა თანამშრომელი გასულია თუ არა სამუშაო ადგილიდან, აგრეთვე სამუშაო ადგილის მდგომარეობას (უცხო ობიექტების და ნამსხვრევების არარსებობა, სტაციონარული ღობეების მდგომარეობა, იატაკისა და კიბეების მდგომარეობა და ა.შ.). მას შემდეგ, რაც ბრიგადა აღმოფხვრის აღმოჩენილ დარღვევებს, ის განწესის სტრიქონში „სამუშაო დასრულებულია“, აწერს ხელს თარიღის და დროის მითითებით.

3.8.4. დამშვები ხურავს განწესს სამუშაო ადგილის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ პირადად ან დაქვემდებარებული პერსონალის მიერ. ის ხელს აწერს განწესის სტრიქონში "სამუშაოების შემოწმება, დაკვეთა დახურული" სამუშაოს ხელმძღვანელის მიერ სამუშაო ადგილის მიღების შემდეგ და უთითებს განწესის დახურვის დროს და თარიღს.

3.8.5. ობიექტებზე, რომლებიც არ შედის მორიგე (ოპერაციულ-სარემონტო) პერსონალის მომსახურების ზონაში, განწესს ხურავს პირი, რომელმაც გასცა ან გააგრძელა განწესი, ხოლო სამუშაოს დასრულების შესახებ აცნობებს მორიგე პერსონალს.

3.8.6. სამუშაოს დასრულების შემდეგ განწესი ინახება დახურული განწესების საქალაქო 30 დღის განმავლობაში.

3.8.7. განწესების შენახვის ადგილს და წესს განსაზღვრავს საამქროს ხელმძღვანელი.

3.9. მივლინებული პერსონალი

3.9.1. ენერგომომარაგებელ ორგანიზაციაში მივლინებულ პერსონალს თან უნდა ჰქონდეთ:

- საკვალიფიკაციო მოწმობა(სერთიფიკატი), უსაფრთხოების წესების, შრომის დაცვის ინსტრუქციების და წესების ცოდნის შემოწმების შედეგების ჩანაწერით, რომელიც გაცემული უნდა იყოს მიმავლინებელი ორგანიზაციის მიერ;

- მიმავლინებელი ორგანიზაციის წერილი, რომელშიც იმ მითითებულია თანამშრომლების უფლებამოსილება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სამუშაოს შესრულებაზე;

დაშვების აქტის თანახმად - სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების პერსონალისათვის;

განწესით შესასრულებელ სამუშაოების დროს (დანართი 1) - სარემონტო და ექსპლუატაციის ორგანიზაციების პერსონალისათვის.

3.9.2. ორგანიზაციაში ჩასვლისთანავე, ყველა მივლინებულმა პერსონალმა უნდა გაიაროს შესავალი ინსტრუქტაჟი, იმ მოწყობილობების და აღჭურვილობების მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელზედაც უნდა იმუშაონ ან სამუშაო ადგილებთან ახლოს არის განლაგებული.

ჩატარებული ინსტრუქტაჟი ფორმდება შესავალი ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში.

3.9.3. კონტრაქტორი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ ენერგომომარაგების ორგანიზაციაში სამუშაოები ხორციელდება მხოლოდ დაშვების აქტის გაფორმების შემდეგ. დაშვების აქტით გათვალისწინებული ზომების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორი ორგანიზაციის და დამკვეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს.

ჰიდრომექანიკური მოწყობილობის ან ჰიდროტექნიკური ნაგებობების ახლოს სარემონტო-სამშენებლო ან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება ხორციელდება განწესით ამ წესების დანართი 1-ში მოცემულ პროცედურის შესაბამისად, დაშვების აქტის გაფორმების გარეშე.

3.9.4. კონტრაქტორი ორგანიზაციების პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულებისას პასუხისმგებლობა შრომის უსაფრთხოების ზომების ორგანიზებაზე და განხორციელებაზე, მუშაკთა კვალიფიკაციის შესაბამისობის და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, ეკისრება კონტრაქტორი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

ორგანიზაცია _____
 ქვეგანყოფილება _____

განწესი - დაშვება № _____

სამუშაოს ხელმძღვანელს _____ დამშვებს _____
 სამუშაოს მწარმოებელს _____ მეთვალყურეს _____
 ბრიგადის წევრებით _____

ევალუბა _____

მუშაობა დაიწყო: თარიღი _____ დრო _____
 მუშაობა დამთავრდეს: თარიღი _____ დრო _____

სამუშაო ადგილის მომზადების ღონისძიებები: ცხრილი 1.

ელექტროდანადგარების დასახელება, რომელშიც უნდა ჩატარდეს გამორთვები და დაყენდეს დამიწებები	რა უნდა გამოირთოს და რა დამიწდეს
1	2

ცალკეული მითითებები _____

განწესი გაიცა: თარიღი _____ დრო _____
 ხელის მოწერა _____ გვარი _____

განწესის ვადა გაგრძელებულია: თარიღი _____ დრო _____
 ხელის მოწერა _____ გვარი _____
 თარიღი _____ დრო _____

ნებართვა სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე : ცხრილი 2.

ნებართვა სამუშაო ადგილის მომზადებასა და სამუშაოდ დაშვებაზე გასცა (თანაბდებობა, გვარი, ხელის მოწერა)	თარიღი, დრო	სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის მიმღები პირის ხელის მოწერა
1	2	3

სამუშაო ადგილები მომზადებულია. ძაბვის ქვეშ დარჩა: _____

დამშვები _____ (ხელმოწერა) სამუშაოს ხელმძღვანელი _____ (სამუშაოს მწარმოებელი ან მეთვალყურე) _____ (ხელმოწერა)